პილარ 3 - წლიური ანგარიში

სს „ტერაბანკი“

2019

სარჩევი

ტერაბანკის სტრატეგია 3
მმართველობა 4
აქციონერთა სტრუქტურა 4
სამეთვალყურეო საბჭო 6
აუდიტის კომიტეტი 11
რისკების კომიტეტი 11
საბჭოს, საბჭოს კომიტეტების და მათი წევრების საქმიანობის შეფასება 12
ბანკის დირექტორთა საბჭო 13
რისკების მართვა 20
რისკების მართვის კომიტეტები 22
რისკების მიტიგაციის სტრუქტურა 23
ლიკვიდობის რისკი 25
ანაზღაურების პოლიტიკა 29

სს „ტერაბანკი“

„ბანკი“ დაარსდა საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება 2007 წლის 30 დეკემბერს იურიდიული სახელწოდებით „სს კორ ბანკი“. 2016 წლის 23 მაისს „ბანკმა“ შეიცვალა იურიდიული სახელწოდება სს „ტერაბანკად“.

„ბანკის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს დეპოზიტების მიღებას, სამომხმარებლო ანგარიშების მართვას, საკრედიტო ოპერაციებს, გარანტიების გაცემას, ფულადი სახსრებისა და საანგარიშსწორებო ოპერაციებს და ფასიან ქაღალდებსა და უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებს. „ბანკის“ საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ). „ბანკი“ ფლობს 2008 წლის 25 იანვარს სებ-ის მიერ გაცემულ გენერალურ საბანკო ლიცენზიას.

„ბანკის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია ქ. წამებულის გამზირი №3, თბილისი 0103, საქართველო. „ბანკს“ აქვს 27 ფილიალი, სერვის ცენტრი და სერვის დესქი, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ყველა მთავარ ქალაქში.

ტერაბანკის სტრატეგია

ტერაბანკისათვის სტრატეგიულ საბაზრო სეგმენტებს წარმოადგენს მიკრო, საშუალო და მცირე ბიზნესები, ასევე საცალო საბანკო მომსახურება. ბანკი აღნიშნული მიმართულებით გეგმავს ამბიციურ განვითარებას მომდევნო წლების განმავლობაში.

ბანკი გეგმავს შემდგომი სტრატეგიული ბიზნეს ამოცანების მიღწევას:

- კონკრეტული მომგებიანობის მაჩვენებლების შენარჩუნება
- მიკრო, მცირე და საშუალო და საცალო ბაზრის წილების ზრდა
- მცირე და საშუალო კლიენტების ბაზარზე საბანკო მომსახურებების უმაღლესი სტანდარტის შექმნას. ასევე, იყოს აქტიური მოთამაშე საცალო დაკრედიტების მიმართულებით

ტერაბანკი სტრატეგიული გეგმის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს ბანკის ხედვას და მისიას. ბანკი, საკუთარი ხედვისა და მისიის შესაბამისად გეგმავს ქმედებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკის განვითარების მიმართულებას. ბანკის ღირებულებები განაპირობებს ბანკის დამოკიდებულებას მომხმარებლების, აქციონერების, კონკურენტების ან/და თანამშრომლების მიმართ.

ბანკის ხედვა

ჩვენი ხედვაა, შევქმნათ საბანკო მომსახურების უმაღლესი სტანდარტი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ვიყოთ მეწარმეების, მათთან დასაქმებული ადამიანებისა და მათი მომხმარებლების რჩეული ბანკი და სანდო პარტნიორი. აქტიური მოთამაშე, საცალო საბანკო სფეროში. ღირებული ინვესტიცია ბანკის დამფუძვნებლებისთვის. სასურველი დამსაქმებელი თანამშრომლებისთვისა და საზოგადოების ღირსეული კორპორატიული წევრი.

ბანკის მისია

ჩვენი მისიაა, გამორჩეული და ინდივიდუალური მომსახურებით ხელი შევუწყოთ მეწარმეებს, მათთან დასაქმებულ ადამიანებსა და მათ მომხმარებლებს ბიზნესისა და პირადი ფინანსური ამოცანების გადაჭრაში; პასუხისმგებლობაზე დამყარებული ქმედითი მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ბიზნესს და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

მმართველობა

ბანკის კორპორატიული ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო. აქციონერთა საერთო კრება ბანკის უმაღლესი შიდა მმართველი ორგანოა, იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომლებიც პასუხს აგებენ დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობაზე. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორთა საბჭოს წევრებს, რომელიც წარმოადგენს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაზე პასუხისმგებელ ორგანოს.

აქციონერთა სტრუქტურა

აქციონერები	**წილობრივი მონაწილეობა %**
შეიხი ნაჰაიან მაბარაქ ალ ნაჰაიანი	45%
შეიხი ჰამდან ბინ ზაედ ალ ნაჰაიანი	20%
შეიხი მოჰამად ბუტი ალ ჰამედი	15%
შეიხი მანსურ ბინ სულთან ალ ნაჰაიანი	15%
შპს „ინვესტმენტ ტრეიდინგ გრუპ“	5%
	100%

აქციონერთა უფლებები

ბანკის აქციონერებს აქვთ შემდეგი უფლებები:

- პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემის პროცედურაში, გამოთქვან აზრი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, დასვან შეკითხვები და წამოაყენონ წინადადებები;
- მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე;
- მოსთხოვონ დირექტორთა საბჭოს და/ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრების დღის წესრიგში შესული საკითხების დაზუსტება და/ან განმარტებები დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით;
- განკარგონ საკუთარი აქციები წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აქციების საერთო რაოდენობის ხუთი (5%) ან მეტი პროცენტის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ:

- მოითხოვონ აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევა;
- მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება აქციონერთა მიერ არჩეული, შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ;
- მოითხოვონ ბანკის სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.

აქციონერთა ჩართულობა

აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა მორიგ ან რიგგარეშე კრებად. აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორთა საბჭო. მორიგი საერთო კრება მოიწვევა ბანკის წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშის შედგენიდან არაუგვიანეს ორი თვისა და ნებისმიერ შემთხვევაში წინა ფინანსური წლის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს მიერ. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საკუთარი ინიციატივით ან ბანკის აქციების არანაკლებ 5%-ის მფლობელი აქციონერ(ებ)ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ შემდგარია კვორუმი. კვორუმი შემდგარია, თუ კრებას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა ნახევარზე მეტი. თუ აქციონერთა საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორთა საბჭო მის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოიწვევს ახალ კრებას იგივე დღის წესრიგით. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე 25% (ოცდახუთი პროცენტი). თუ აქციონერთა საერთო კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორთა საბჭო მის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოიწვევს ახალ კრებას იგივე დღის წესრიგით. ასეთი კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა რაოდენობის მიუხედავად.

აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან მისი არყოფნის შემთხვევაში მისი მოადგილე. მოადგილის არყოფნის შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს ერთ-ერთი დირექტორი. ბანკის დირექტორების არყოფნის შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს პირი, რომელსაც აირჩევს დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა უბრალო უმრავლესობა;

აქციონერთა საერთო კრება განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე :

- ბანკის წესდების დამტკიცება და შეცვლა (მათ შორის საწესდებო კაპიტალი, საფირმო სახელწოდება და ა.შ);
- შერწყმა, გაყოფა ან რეორგანიზაცია, ბანკის ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა;
- საწესდებო კაპიტალის გაზრდა, სხვა აქციონერის მიერ აქციების გაყიდვა ან ბანკის მიერ სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების დროს უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება;
- მოგების გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს ან/და დირექტორთა წინადადებების მიღება ან უარყოფა; წმინდა მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გამოწვევა, მათი შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;
- სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნა;
- წლიური ანგარიშის დამტკიცება;

ჩატარებულ აქციონერთა კრებები და 2019 წელს მიღებული გადაწყვეტილებები

2019 წლის 16 მაისს და 7 ავისტოს ბანკის აქციონერთა კრებამ დაამტკიცა ბანკის 2018 წლის აუდირებული ფინანსური შედეგები და მიიღო გადაწყვეტილება დივიდენდების განაწილების შესახებ.

2019 წლის 16 ნოემბრის ბანკის აქციონერთა რიგგარეშე კრებაზე დაინიშნა სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი ქალი წევრი-ნანა მიქაშავიძე ხოლო არსებულ დამოუკიდებელ წევრებს ხირთ რულოფ დე კორტეს და სეით დევდარიანს გაუგრძელდათ უფლებამოსილების ვადა შემდგომი სამი წლით. კრებამ ასევე ნებადართო ბანკს გამოუშვას უვადო, დამატებითი პირველადი კაპიტალის ობლიგაციები.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისაგან. არც ერთი მათგანი არ არის იმავდროულად ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოს ექვსი წევრიდან სამი დამოუკიდებელი წევრია. სამეთვალყურეო საბჭოს ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა პროფესიული გამოცდილების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შეიხი ნაჰაიან მაბარაკ ალ ნაჰაიანი (თავმჯდომარე)

მისი აღმატებულება შეიხი ნაჰაიან მაბარაქ ალ ნაჰაიანი 1992 წლიდან არაბეთის გაერთიანებული საამიროების ფედერალური მთავრობის წევრია და ამჟამად ტოლერანტობის მინისტრის პოსტს იკავებს.

თავდაპირველად იგი გახლდათ უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების მინისტრი, 2013 წლიდან ხელმძღვანელობდა კულტურის, ახალგაზრდობისა და სოციალური განვითარების სამინისტროს, ხოლო 2016-2017 წლებში იკავებდა კულტურისა და ცოდნის განვითარების მინისტრის თანამდებობას.

პარალელურად, მისი აღმატებულება შეიხი ნაჰაიან მაბარაქ ალ ნაჰაიანი გამოყენებითი კვლევისა და ტრენინგის მაღალტექნოლოგიური ცენტრის საბჭოს თავმჯდომარე, არაბეთის გაერთიანებული საამიროების ტურიზმისა და სიძველეთა დაცვის საბჭოს პრეზიდენტი და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მომავლის ცენტრის საპატიო პრეზიდენტია.

1983-2018 წლებში მისი აღმატებულება შეიხი ნაჰაიანი არაბეთის გაერთიანებული საამიროების უნივერსიტეტის კანცლერი იყო, 1988-2013 წლებში კი იგივე პოზიცია ტექნოლოგიების უმაღლეს კოლეჯში ეკავა, იყო ზაიედის უნივერსიტეტის კანცლერიც.

მისი აღმატებულება შეიხი ნაჰაიანი დიდ ბრიტანეთში — ოქსფორდის უნივერსიტეტის მილფილდის სკოლასა და მაგდალენ კოლეჯში სწავლობდა. საუნივერსიტეტო ხარისხი მას მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში აქვს მიღებული.

სხვადასხვა დროს იყო გაერთიანებული ნაციონალური ბანკის (UNB, Abu Dhabi, UAE) თავმჯდომარე, იუნაითედ ბანკ ლიმიტედის (პაკისტანი) თავმჯდომარე და დირექტორი, ბანკი ალფალას თამჯდომარე.

შეიხი საიფ მოჰამედ ბინ ბუტი ალ ჰამედ (მოადგილე)

აქვს Warid Telecom International LLC(UAE), Warid Telecom Limited(პაკისტანი) და Warid Telecom Bangladesh Limited-ის დირექტორად მუშაობის გამოცდლება. არის Al Hamid Group of Companies ვიცე-თავმჯდომარე და მმართველი დირექტორი, Al Wathba Insurance-ის თავმჯდომარე, Bank of Sharajas-ბორდის წევრი.

სემი ედვარდ ადამ ხალილი (წევრი)

იგი არის შპს Dhabi Contracting (UAE) გენერალური მენეჯერი

მისი პროფესიული კარიერა სხვადასხვა პროფილის პროექტებს აერთიანებს. მათ შორის: ტურისტულს (სასტუმროები და კურორტები), კომერციულს (ბიზნესპარკები, სავაჭრო ცენტრები), საცხოვრებელსა (ცათამბჯენები, მრავალსართულიანი შენობები) და სარეკრეაციოს (საზოგადოებრივი პარკები).

სემი ედვარდმა კაიროს უნივერსიტეტის საინჟინრო საქმის ფაკულტეტი დაამთავრა.

იყო კომპანია „ალ მარაიხ ჯენერალ ქონსტრაქშენის“ უფროსი მშენებელი ინჟინერი და ამავე კომპანიის პროექტის მენეჯერი.

სეითი დევდარიანი (საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)

აქვს ბანკების, არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების და ფინანსური პროგრამების მართვის 15 წლიანი საერთაშორისო გამოცდილება. სხვადასხვა დროს იყო შორბანკ საკონსულტაციო კომპანიის საქართველოს მენეჯერი, მრჩეველი (ყაზახეთში) რისკების დირექტორი (აზერბაიჯანში), SOAKredit(აზერბაიჯანი) გენერალური დირექტორი, მცირე ბიზნესის ბელარუსიის ბანკის გენერალური დირექტორი, ბელარუსიის სახალხო ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე. ამჟამად დამოუკიდებელ პროფესიულ საკონსულტაციო მომსახურებას უწევს სხვადასხვა საბანკო და არასაბნკო ორგანიზაციებს. მას დამთავრებული აქვს ინიდიანას უნივერსიტეტის კელის ბიზნეს სკოლის სამაგისტრო პროგრამა სტრატეგიულ მართვაში, ასევე პენსილვანიის უნივერსიტეტი საბანკო საქმის მიმართულებით და საბანკო საქმის ამერიკული ინსტიტუტი (ვაშინგტონი) ბანკის ფინანსური მართვის სპეციალობით.

ხირთ რულოფ დე კორტე(საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)

აქვს საბანკო და საფინანსო სფეროში მუშაობის 15 წლიანი საერთაშორისო გამოცდილება. სხვადასხვა დროს იყო World Vision-ის კონსულტანტი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედოს გენერალური დირექტორი. VisionFund International-ის რეგიონალური დირექტორი. ამჟამად არის Triple Jump BV-ის უფროსი პროექტ მენეჯერი. ასევე იყო KosInvest -ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, EKI MCF(ბოსნია და ჰერცოგოვინა) დირექტორთა საბჭოს წევრი , AgroInvest (სერბეთი და მონტენეგრო) დირექტორთა საბჭოს წევრი, SEF International UCO, (სომხეთი) დირექტორთა საბჭოს წევრი. მას დამთავრებული აქვს ამსტერდამის გამოყენებადი მეცნიერებების ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, ასევე ედინბურგის ჰერიოტ-ვატის უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინსიტრირების მიმართულებით და აქვს ამსტერდამის ვრიჟეს უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი კულტურის, ორგანიზაციისა და მენეჯმნეტის მიმართულებით

ნანა მიქაშავიძე (საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)

ნანა მიქაშავიძეს ფინანსურ სექტორში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. ტერაბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის პარალელურად, იგი ქართული ICT კლასტერის დირექტორი, კომპანია Wizard-ის დამფუძნებელი დირექტორი და ქართულ ამერიკული-უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მენეჯმენტის კონცენტრაციის ხელმძღვანელია.

მანამდე, სხვადასხვა დროს, ნანა მიქაშავიძე Financial In Motion GmbH-ის ინვესტიციების მენეჯერის და თიბისი ლიზინგის გენერალური დირექტორის პოზიციებს იკავებდა. ამას გარდა, ნანა მიქაშავიძე იყო „რეა“-სა და „მიკროსაფინანსო კრედო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, თიბისი ბანკის კორპორაციული ბანკინგის დირექტორის მოადგილე.

ნანა მიქაშავიძემ ევროპული მართვის სკოლა დაამთავრა. მონაწილეობდა არაერთ პროფესიულ კონფერენციაში და გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგი.

სამეთვალყურეო საბჭოს როლი

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად არის ჩართული ბანკის საქმიანობაში. ყოველთვიურად ეცნობა და ამტკიცებს ბანკის ფინანსურ შედგებს და ბანკის ყოველდღიურ საქმინობასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

2019 წლის განამვლობაში ჩატარდა 12 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. განხილული და დამტკიცებული საკითხები მოიცავდა: ბაკის მიერ ახალი ფინანსური რესურსების მოზიდვას, მნიშვნელოვანი ტრანზაციების დადასტურებას, გასული პერიოდის შედეგების დამტკიცებას, წლიური ბიუჯეტის დამტკიცებას და სხვა.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

- დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნა და გათავისულება, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;
- წლიური ფინანსური ანგარიშებისა და მოგების განაწილების შესახებ წინადადებების განხილვა;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბანკის სტრუქტურის დამტკიცება;

- აუდიტის კომიტეტის წევრების დანიშვნა და გათავისუფლება;
- გარე აუდიტორის არჩევა და დამტკიცება;
- მოგებისა და ზარალის გეგმის, ინვესტიციების გეგმის დამტკიცება;

მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს:

- ახალი კომპანიის დაფუძნება ან არსებული კომპანიის წილის შეძენა;
- აქტივების შეძენის, გასხვისების, გაცვლის, შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულებაც აღემატება 10 000 000 (ათი მილიონი) ლარს;
- ინვესტიციების განხორციელება, თუ ამგვარი გარიგების ღირებულება აღემატება 10 000 000 (ათი მილიონი) ლარს;
- ახალი საბანკო საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა; ბანკის მიერ სესხის ან კრედიტის აღება, თუ ამგვარი გარიგების ღირებულება აღემატება 10 000 000 (ათი მილიონი) ლარს;
- კრედიტისა და სესხის უზრუნველყოფა, რომელიც სცილდება ბანკის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;
- სავაჭრო წარმომადგენლ(ებ)ის (პროკურისტ(ებ)ის) დანიშვნა და გათავისუფლება; ფილიალების, განყოფილებების (სერვისცენტრების/სერვისდესკების) დაფუძნება და ლიკვიდაცია;
- ბანკის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული სხვა ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების და/ან დამატებითი სარგებლის განსაზღვრა;
- საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკების განსაზღვრა და დამტკიცება;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბანკის მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა;
- ბანკის აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს მრჩეველი, რომელიც დამოუკიდებელია ბანკის აღმასრულებელი მენეჯმენტისაგან. მრჩეველი სამეთვალყურეო საბჭოს წარმოუდგენს დამოუკიდებელ რეკომენდაციებს სხვადასხვა მიმართულებით, რომელსაც მას განუსაზღვრავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. იგი ინიშნება და თავისუფლდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

სამეთვალყურეო საბჭოში მუშაობის დაწყება

თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი იღებს ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს და საბჭოს კომიტეტების ფუნქციისა და უფლებამოსილების შესახებ. ახალ წევრს აცნობენ მათ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობებს. ბანკის სამეთვალყორეო საბჭოს ახალ დამოუკიდებელ წევრებმა დანიშვნისთანავე მონაწილეობა მიიღეს სათანადო სწავლებებში, მათ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით. ბანკი ხელს უწყობს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მოთხოვნის შემთხვევაში მათ პროფესიული განვითარებას. ბანკი ასევე უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის წვდომას შიდა განყოფილებების კონსულტაციებზე, ასევე დამოუკიდებელი პროფესიონალების კონსულტაციებზე, ბანკის ხარჯებით, მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში არსებული ნებისმიერი საკითხის შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის მრავალფეროვნება

ბიზნესის ეფექტურად მართვისთვის მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვანი უნარჩვევები, ცოდნა და გამოცდილება. ბანკს მიაჩნია რომ მისი სამეთვალყურეო საბჭოს არსებული ზომა და შემადგენლობა შესაბამისია ბანკის მოცულობასთან და ოპერაციების სირთულესთან. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს უკავია და / ან ადრე ეკავა მაღალი პოზიციები ბიზნესის სხვადახვა მიმართულებით, სავადასხვა. წარმოდგენილი ყოველივე აღნიშნული სამეთვალყურეო საბჭოს აძლევს საშუალებას თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პირადი მრავალფეროვან და მდიდარ გამოცდილებას. სამეთვალყურო საბჭოში დამუკიდებელი და არადმოუკიდებელი წევრების თანაბარი როადენობა უზრუნველყოფს დამოუკიდებელი და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

სამეთვალყურეო საბჭოში ამჟამად სამი დამოუკიდებელი წევრია: ბატონები ხირთ რუელოფ დე კორტე და სეით დევდარიანი, ქალბატონი ნანა მიქაშავიძე. მათი დამოუკიდებლობის ხარისხი შეფასებულ იქნა მათი დანიშვნის მომენტში, ეროვნული ბანკის და სს ტერაბნკის შიადა რგულაციების შესაბამისად და ყველა მათგანი სრულად აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობის დადგენილ კრიტერიუმებს. 2019 წლის 1 დეკმბერის მდგომარეობით ადგილი არ ქონია რაიმე ცვლილებას აღნიშნულთან დაკავშირებით და დასახელებული წევრები სრულ შესაბამისობაში იყვნენ დამოუკიდებლობის დადგენილ კრიტერიუმებთან.

აუდიტის კომიტეტი

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი. აუდიტის კომიტეტი სრულად დაკომპლექტებულია საბჭოს დამოუკიდებელი წევრებისაგნ. კერძოდ მასში შედის საბჭოს სამივე დამოუკიდბელი წევრი. აუდიტის კომიტეტის კომპეტენციაა:

- შიდა აუდიტის ფუნქციის ჩამოყალიბება, შიდა აუდიტის განყოფილების საქმიანობების ორგანიზება და მისი ზედამხედველობა;
- შიდა აუდიტის განყოფილების საშტატო ნუსხის ჩამოყალიბება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- შიდა აუდიტის განყოფილების უფროსისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნა/გათავისუფლების საკითხის განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- შიდა აუდიტის განყოფილების სამსახურის ადეკვატური რესურსების და მისი თანამშრომლებისათვის სათანადო ანაზღაურებისა და მოტივაციების სისტემის არსებობის უზრუნველყოფა;
- შიდა აუდიტის განყოფილების მეშვეობით ბანკის ანგარიშგებისა და საბუღალტრო ჩანაწერების, შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და მართვის სისტემებისა და პროცესების ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასების განხორციელება;
- შიდააუდიტორული საქმიანობის პროგრამის განხილვა და დამტკიცება თითოეული ფისკალური წლისათვის კვარტლების მიხედვით;
- გარეადიტორული საქმიანობისათვის ხელის შეწყობა. აუდიტის კომიტეტი იკრიბება ყოველკვარტალურად.

2019 წლის განმავლობაში ჩატარებულ სხდომებზე განსახილველი საკითხები მოიცავდა აუდიტის გეგმის დამტკიცებას, შიდა აუდიტის სამსახურის მომზადებული რეკომენდაციების/რეპორტების გაცნობა/დამტკიცებას, შიდა აუდიტის გეგმის შესრულების ზედამხედველობას და სხვა.

რისკების კომიტეტი

2019 წლის ნოემბერში ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთან შეიქმნა რისკების კომიტეტი. რისკების კომიტეტი სრულად დაკომპლექტებულია საბჭოს დამოუკიდებელი წევრებისაგნ. კერძოდ მასში შედის საბჭოს სამივე დამოუკიდბელი წევრი. რისკების კომიტეტის კომპეტენციაა:

- განიხილავს რისკის სტრატეგიებს და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე;
- ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკებს,
- მონიტორინგს უწევს დირექტორატს, რამდენად სათანადო პროცედურების დაცვით ხდებადირექტორატის მხრიდან ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამის ობის უზრუნველყოფა;
- თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების დირექტორის საქმიანობას;

- რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე;
- მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, , რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა.

საბჭოს, საბჭოს კომიტეტების და მათი წევრების საქმიანობის შეფასება

სამეთვალყურო საბჭოს შეფასება ხორციელდება არსებული შეფასების პოლიტიკის შესაბამისად. აღნიშნული პოლიტიკით განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს, მისი წევრების და კომიტეტების შეფასების პრინციპები და კრიტერიუმები. შეფასება ხორციელდება საბჭოს მიერ ყოვლწლიურად. ხოლო სამ წელიწადში ერთხელ გარე შემფასებლის მიერ.

სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის შეფასების დოკუმენტის მიხედვით, საბჭოს მიერ მიჩნეული იქნა, რომ სამეთვალყურე საბჭოს წევრების უნარების, გამოცდილების, განათლების მრავალფეროვნების გათვალისწინებით საბჭოს ეფექტურად ფუნქციონირებდა. საბჭოს შეფასებით მისი ზომა და შემადგენლობა სრულად შეესაბამება ბანკის მოთხოვნილებებს.

შეფასების მიხედვით, საბჭოს ყველა წევრი სრულად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო საბჭოს წევრების ჩართულობა შეფასებული იქნა დადებითად. საბჭოს წევრების მონაწილეობა სხდომებში მოცემულია ცხრილში .

წევრი	სხდომებში მონაწილეობა
ნაჰაინ მაბარაკ ალ ნაჰაიანი	მონაწილეობდა 2019 წელს გამართულ ყველა სხდომაში, წარმომადგენლის მეშვეობით
სემი ედვარდ ადამ ხალილი	მონაწილეობდა 2019 წელს გამართულ ყველა სხდომაში
საიფ მოჰამედ ბინ ბუტი ალ ჰამედ	2019 წელს გამართულ სხდომებში არ მონაწილეობდა
სეითი დევდარიანი	მონაწილეობდა 2019 წელს გამართულ ყველა სხდომაში
ხირთ რუელოფ დე კორტე	მონაწილეობდა 2019 წელს გამართულ ყველა სხდომაში,
ნანა მიქაშავიძე	საბჭოში დაინიშნა 2019 წლის 18 ნომბრიდან

შეფასების მიხედვით, საბჭოს სხდომები ყოველთვის ორგანიზებულია ბანკის წესდების შესაბამისად, ხოლო საბჭოს სხდომების სიხშირე შეესაბამება განსახილველი საკითხების მოხულობას და საჭიროებას.

საბჭოს შეფასებით აუდიტის კომიტეტი ფუნქციონირებს ეფექტურად, რაც შეეხება რისკების კომიტეტს იგი ჩამოყალიბდა მხოლოდამხოლოდ 2019 წლის ნოემბერში .

ბანკის დირექტორთა საბჭო

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის დირექტორთა საბჭო შედგებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი წევრებისგან.

- თეა ლორთქიფანიძე - გენერალური დირექტორი,
- სოფიო ჯუღელი - ფინანსური დირექტორი,
- ზურაბ აზარაშვილი - კომერციული დირექტორი,
- თემურ აბულაძე - რისკების დირექტორი,
- ვახტანგ ხუციშვილი - ოპერაციების დირექტორი.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობასა და მართვზე, მის წევრებს (დირექტორებს) ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 4 (ოთხი) წლის ვადით, რომელთა უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი დირექტორების დანიშვნამდე. დირექტორთა საბჭოს წევრის განმეორებითი დანიშვნა შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გაათავისუფლოს დირექტორი ნებისმიერ დროს.

ბანკის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭებათ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ დირექტორთა საბჭოს წევრებს - დირექტორებს.

გენერალური დირექტორის არყოფნისას, გენერალური დირექტორის სახელით მოქმედების უფლებამოსილება გადაეცემა დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთ წევრს გენერალური დირექტორის მიერ ბანკის სახელით გაცემული მინდობილობის ან სხვა დოკუმენტის საფუძველზე.

ბანკის დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია შემდეგზე:

- წარმართოს და განახორციელოს ბანკის მიმდინარე საქმიანობა;
- წინასწარ განიხილოს ბანკის აქციონერთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შესატანი ყველა საკითხი, სრულად მოიძიოს სათანადო ინფორმაცია, მოამზადოს წინადადებები და რეკომენდაციები დღის წესრიგის საკითხებთან მიმართებაში;
- ზედამხედველობა გაუწიოს დაკრედიტების, ანგარიშსწორების, დაფინანსების, ნაღდი ფულით მომსახურების, ბანკის ფულადი სახსრებისა და ძვირფასეულობის დაცვას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას, შიდა კონტროლსა და აღრიცხვას; უზრუნველყოს ბანკის მიერ კლიენტებისთვის

სათანადო მომსახურების გაწევა და ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის სხვა ძირითად საქმიანობას;

- ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ფუნქციონირებას; უზრუნველყოს ასეთი ფილიალებისა და სერვის-ცენტრების მმართველების მიერ თავიანთი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულება;
- განიხილოს შიდა აუდიტისგან ან გარე შემოწმებით მიღებული ინფორმაცია, ასევე ფილიალების მმართველებისა და სერვის-ცენტრების ხელმძღვანელების მიერ მიწოდებული ანგარიშები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- უზრუნველყოს აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება;
- შეიმუშავოს ბანკის პოლიტიკა, შიდაგანაწესი და ნებისმიერი სხვა სახის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და უზრუნველყოს ასეთი პოლიტიკის, შიდაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა სახის მარეგულირებელი დოკუმენტის შესრულება;
- მიიღოს გადაწყვეტილებები თანამშრომლების შერჩევის, გათავისუფლების, კვალიფიკაციის ამაღლების და ანაზღაურების საკითხებზე;
- გადაწყვიტოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც შესაძლოა სამეთვალყურეო საბჭომ და/ან აქციონერთა საერთო კრებამ დაავალოს დირექტორთა საბჭოს (ან დირექტორთა საბჭოს რომელიმე ერთ წევრს);
- აწარმოოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რაც აუცილებელია ბანკის მიზნებისათვის, გარდა აქციონერთა კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოზე დაკისრებული ფუნქციებისა;

დირექტორთა საბჭოს სხდომა შეიძლება წარიმართოს სატელეფონო ან ვიდეო კონფერენციის საშუალებით.

დირექტორთა საბჭოს წევრმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ განხილვაში ან გადაწყვეტილების მიღებაში ნებისმიერ საგანთან ან გარიგებასთან დაკავშირებით, რომელთან მიმართებით მას აქვს ინტერესთა შეუთავსებლობა (კონფლიქტი).

დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გენერალური დირექტორი სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით. სხდომა მოიწვევა გენერალური დირექტორის ან დირექტორთა საბჭოს სხვა წევრის ინიციატივით. გენერალური დირექტორი ადგენს სხდომის დღის წესრიგს და თავმჯდომარეობს სხდომას. დირექტორთა საბჭოს კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. დირექტორთა საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან გენერალურ დირექტორს მიმართონ დღის წესრიგში საკითხის დამატების მოთხოვნით.

დირექტორთა საბჭოს წევრების პასუხისმგებლობები

გენერალური დირექტორი - ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს. მის უშუალო დაქვემდებარებაში შედის ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის, იურდიული და შესაბამისობის, ადამინური რესურსების, ფინანსური მონიტორინგისა და უსაფრთხოების განყოფილებები.

კომერციული დირექტორის პასუხისმგებლობა მოიცავს კორპორატიული საბანკო მომსახურების, მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების, საცალო საბანკო მომსახურების, სატელეფონო

მომსახურების ცენტრის, პროდუქტების განვითარებისა და ფილიალების ქსელის განვითარების განყოფილებების მართვას.

რისკების დირექტორის დაქვემდებარებაშია საკრედიტო რისკებისა და ანალიზის, კონტროლინგის, საოპერაციო რისკებისა და პრობლემური სესხების განყოფილებები.

ოპერაციების დირექტორის პასუხისმგებლობა მოიცავს ბანკის ალანიზის და რეპორტინგის, ოპერაციების, საკრედიტო ადმინისტრირების, საბანკო ბარათების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ლოჯისტიკის, შესყიდვების და დოკუმენტაციის მართვის მიმართულებებს.

ფინანსურ დირექტორს ექვემდებარება ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის, ბიუჯეტირების, ანალიზისა და IFRS ანგარიშგების, ფინანსური რისკების და რეპორტინგის, ასევე ხაზინის განყოფილებები.

დირექტორთა საბჭოს წევრების კვალიფიკაცია

ბანკის დირექტორთა საბჭო დაკომპლექტებულია სათანადო განათლების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრებით.

გენერალური დირექტორი - თეა ლორთქიფანიძე

გენერალური დირექტორის პოზიციას 2014 წლის მაისიდან იკავებს. მას ფინანსურ ინსტიტუტებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2008-2013 წლებში თიბისი ბანკის რისკების დირექტორის პოზიციაზე მუშაობდა. 2007-2008 წლებში რისკების დირექტორის მოადგილე იყო, 2004-2006 წლებში - თიბისი ლიზინგის გენერალური დირექტორი. სხვადასხვა დროს იყო კრედიტინფო საქართველოს, მიკროსაფინანსო კომპანია ,,კრედოს,'' თიბისი ლიზინგის და უძრავი ქონების მართვის ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, საქართველოს სალიზინგო ასოციაციის პრეზიდენტი. 1993-2003 წლებში თეა სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა თიბისი ბანკში.

1988-1993 წლებში სწავლობდა და დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. 1999-2000 წლებში სწავლა ESM-ის მაგისტრატურაზე განაგრძო, ხოლო 2008-2013 წლებში წარმატებით დაასრულა ამერიკის ბიზნეს ასოციაციის საბანკო სკოლა.

რისკების დირექტორი - თემურ აბულაძე

რისკების დირექტორის პოზიციას იკავებს 2015 წლის იანვრიდან. იგი გუნდს 2014 წლის ნოემბერს შემოუერთდა, როგორც რისკების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. მას აქვს საბანკო და საფინანსო სფეროში მოღვაწეობის 15 -წლიანი გამოცდილება. 2009-2014 წლებში ხელმძღვანელობდა ლიბერთი ბანკის საკრედიტო რისკების მართვის მიმართულებას, ხოლო 1999-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს ბანკში საკრედიტო რისკების მართვის სფეროში სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის- საკრედიტო რისკების ანალიტიკოსად(1999-2000წწ), საკრედიტო რისკების ანალიზის განყოფილების უფროსად (2000-2001წწ) და საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ (2001-2006წწ). 2006-2009 წლებში თემური მუშაობდა გეოპრომაინინგის ჯგუფში, რომელიც ფლობდა საწარმოებს სამთო-მომპოვებით სფეროში საქართველოსა (სს მადნეული და შპს კვარციტი) და სომხეთში, 2007-2009 წლებში იგი სს „აგარაკის სპილენძ-მოლიბდენის კომბინატის“ ფინანსური დირექტორი იყო.

ის არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის მაგისტრი.

კომერციული დირექტორი -ზურაბ აზარაშვილი

კომერციული დირექტორის თანამდებობაზე 2014 წლის აგვისტოდან დაინიშნა. ის ბანკის საცალო, კორპორატიულ, პროდუქტებისა და მარკეტინგის მიმართულებას ხელმძღვანელობს. 2013-2014 წლებში ტერაბანკში მას ოპერაციების დირექტორის თანამდებობა ეკავა, ხოლო 2008-2012 წლებში ამავე ბანკის საბარათე ოპერაციების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. მას აქვს საბანკო სფეროში 15- წლიანი წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 2000-2008 წლებში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა სს „ბანკ ქართუსა“ და სს „თიბისი ბანკში“.

1995-1999 წლებში მიიღო ESM-ის ბაკალავრის ხარისხი ზოგადი მენეჯმენტის სპეციალობით, ხოლო 2007-2009 წლებში გახდა ამავე ინსტიტუტის მაგისტრი ფინანსური მენეჯმენტის მიმართულებით.

ოპერაციების დირექტორი- ვახტანგ ხუციშვილი

ოპერაციული დირექტორის პოზიციაზე 2014 წლის ოქტომბრიდან დაინიშნა. 2013 წელს მუშაობდა რესპუბლიკა ბანკში ცენტრალური ბექ ოფისის სამსახურის უფროსად, ხოლო 2009-2013 წლებში ლიბერთი ბანკში ხელმძღვანელობდა დაგეგმარებისა და კონტროლის დეპარტამენტს. 2009 წელს ლიბერთი ბანკის საბანკო არხების განვითარების დეპარტამენტს უძღვებოდა. 2005-2008 წლებში მუშაობდა ლიბერთი ბანკის სხვადასხვა დეპარტამენტში წამყვან პოზიციებზე. 2003-2005 წლებში გახლდათ კომპანია ,,კარდიოექსპრესის'' ფინანსური მენეჯერი.

ის არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის მაგისტრი. 1998-2002 წლებში აგრეთვე სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში და აქვს ორგანიზაციული მენეჯმენტისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ბაკალავრის ხარისხი.

ფინანსური დირექტორი- სოფიო ჯუღელი

ფინანსური დირექტორის პოზიციაზე 2016 წლის 1 აგვისტოს დაინიშნა. იგი გუნდს 2015 წლის 27 აპრილს შემოუერთდა, როგორც ბანკის ფინანსური დირექტორის მოადგილე. მას საქართველოს კომერციულ ბანკებში წამყვან ფინანსურ პოზიციებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. სოფიო 2001 წლიდან იკავებდა თიბისი ბანკის მთავარი ბუღალტრის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კონტროლის განყოფილების უფროსის, ფინანსური დეპარტამენტის უფროსისა და ფინანსური დირექტორის მოადგილის პოზიციებს. იგი ტერაბანკში ხელმძღვანელობს ხაზინის, ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის, ფინანსური რისკებისა და რეპორტინგის და ბიუჯეტირების, ანალიზისა და IFRS განყოფილებებს. აგრეთვე იგი კურირებს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობას.
გააჩნია ESM-ის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი. იგი ამასთანავე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მაგისტრი.

ეთიკის კოდექსი

დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და დანერგილია ეთიკის კოდექსი, რომელიც განკუთვნილია ტერაბანკის თანამშრომლებისთვის და მიზნად ისახავს დაარეგულიროს როგორც შიდა, ასევე გარე ბიზნეს ურთიერთობები. ეთიკის კოდექსი ემყარება საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებსა და ბიზნეს ეთიკის ნორმებს. მას საფუძვლად უდევს ბანკის ძირითადი ღირებულებები. კოდექსი შედგება მუხლებისგან, რომლებშიც განმარტებულია თითოეული დასაქმებულის პირადი პასუხისმგებლობა, ასევე ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ყოველდღიური საქმიანობის დროს.

ბანკის ეთიკის კოდექსში აღწერილი მაღალი ეთიკური სტანდარტების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან არაეთიკურმა ქმედებამ შესაძლოა დააზიანოს ბანკის რეპუტაცია ან რიგ შემთხვევებში გამოიწვიოს არასასურველი სასამართლო დავები. ეს შეაფერხებს ბანკის ზრდისა და მომგებიანობის პერსპექტივას, შეამცირებს ფინანსური სერვისების სფეროსადმი ნდობას და შესაძლოა ეკონომიკის ზრდის შეფერხებაც კი გამოიწვიოს.

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ბანკის პროფესიული, კეთილსინდისიერი და სამართლიანი პოლიტიკის ნაწილს, რომელიც შესაბამისობაშია ბანკის კორპორატიულ კულტურასთან, მოქმედ კანონებთან და ბანკის შიდა რეგულაციებთან. ბანკი თანასწორ და არადისკრიმინაციულ ურთიერთობას ამყარებს თანამშრომლებთან, კლიენტებთან და მესამე მხარესთან, მიუხედავად მათი რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა, მოქალაქეობისა, ოჯახური მდგომარეობისა, სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, ასაკისა და/ან შეზღუდული უნარებისა. ეთიკის კოდექსი ბანკში დასაქმებულებისგან ითხოვს მაღალი პროფესიული სტანდარტების დაცვას. მათ ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა, რომ იცნობდნენ კანონებს და ბანკის შიდა წესებსა და რეგულაციებს, რომლებიც ეხება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. ყველა დასაქმებული ვალდებულია იზრუნოს ისეთი სამუშაო გარემოს შექმნაზე, რომელიც თავისუფალი იქნება ძალადობისგან, დისკრიმინაციისგან და არაეთიკური ქმედებებისგან. ბანკი აცნობიერებს თითოეული თანამშრომლის ინდივიდუალურობას და მიზნად ისახავს მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. დანერგილია თანამშრომელთა აყვანის, შეფასებისა და დაჯილდოვების სისტემა, რომელიც ემყარება თანამშრომელთა კვალიფიკაციას, შედეგებს და დამსახურებებს. ბანკი პატივს სცემს თამამშრომლის პირად ცხოვრებას, სოციალურ მდგომარეობას და რელიგიას.

ეთიკის კოდექსში განსაზღვრული წესების დაცვა ადამიანური რესურსების განყოფილების პასუხისმგებლობებში შედის. თანამშრომლის მიერ ბანკის ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, მის მიმართ შესაძლოა გატარდეს დისციპლინარული ზომები, მათ შორის სამსახურიდან დათხოვნა

დირექტორთა საბჭოს კომიტეტები

დირექტორთა საბჭოს დონეზე შექმნილია შემდეგი კომიტეტები:

- პროდუქტების კომიტეტი - (შემადგელობა: გენერალური დირექტორი, კომერციული დირექტორი, რისკების, მარკეტინგის, პროდუქტების განყოფილების უფროსები);
- აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (შემადგენლობა: ყველა დირექტორი, ხაზინის უფროსი, კორპორატიული საბანკო მომსახურების განყოფილების უფროსი, ფინანსური რისკების და რეპორტინგის განყოფილების უფროსი),
- საოპერაციო რისკების კომიტეტი (შემადგენლობა: ყველა დირექტორი, საოპერაციო რისკების განყოფილების უფროსი)
- საკრედიტო კომიტეტი (შემადგენლობა: გენერალური დირექტორი, კომერციული დირექტორი, რისკების დირექტორი, საკრედიტო რისკების განყოფილების უფროსი, კორპორაციული საბანკო მომსახურების განყოფილების უფროსი, საცალო საბანკო საქმიანობის განყოფილების უფროსი, მიკრო და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების განყოფილების უფროსი)
- IT კომიტეტი (ყველა დირექტორი, IT განყოფილების უფროსი)

რისკების მართვა

რისკების მართვა საბანკო ბიზნესისთვის ფუნდამენტურია და ბანკისათვის ოპერირებისთვის აუცილებელი ელემენტების ფორმირებას ახდენს. ბანკის რისკების მართვის პოლიტიკები მიზნად ისახავს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას, რისკების სათანადო ზღვრის დაწესებას და კონტროლს, რისკის დონის მუდმივ კონტროლს და ლიმიტების დაცვას. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები გადაიხედება რეგულარულად, რათა მათში აისახოს ცვლილები საბაზრო პირობებში, რეგულაციებში, შეთავაზებულ პროდუქტებსა და სერვისებში და განვითარდეს საუკეთესო პრაქტიკა. ბანკმა შეიმუშავა ანგარიშგების სისტემა მნიშვნელოვანი რისკებისა და კაპიტალის შესახებ.

ბანკის მიერ იდენტიფიცირებულია და იმართება შემდეგი რისკები:

- **საკრედიტო რისკი** - წარმოიქმნება იმ ალბათობიდან, რომ ფინანსურ ინსტრუმენტში მონაწილე კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ამის შედეგად ბანკმა შესაძლოა მიიღოს ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ბანკის სასესხო და სხვა ტიპის ტრანზაქციებიდან.
- **საბაზრო რისკი** - წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების მერყეობისაგან საბაზრო ფასების ზეგავლენით. საბაზრო რისკი შედგება სავალუტო რისკისაგან, საპროცენტო განაკვეთების რისკისაგან და სხვა საფასო რისკებისაგან. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის ღია პოზიციისაგან, რომელიც დაკავშირებულია საერთო და სპეციფიურ ცვლილებებთან ბაზარზე, საბაზრო ფასების და სავალუტო კურსის მერყეობის დონის ცვლილებებთან.
- **ლიკვიდობის რისკი** - წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობებიდან. ამ შეუსაბამობის გამო დეპოზიტის გამოტანისას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას შესაძლოა წარმოშვას საკმარისი ფინანსური რესურსების უკმარისობის რისკი.
- **საოპერაციო რისკი** - წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი მიიღებს ფინანსურ ზარალს სისტემების ჩავარდნის/უმოქმედობისაგან, ადამიანური შეცდომებისაგან, თაღლითობისაგან ან სხვა გარე ზემოქმედებისაგან (მაგ. კიბერ შეტევების რისკი, ა.შ.). ასეთ მოვლენებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ბანკის რეპუტაციას, ნეგატიური გავლენა იქონიონ საზედამხედველო ან სამართლებრივი კუთხით, შეუძლიათ ფინანსური ზარალი მიაყენონ ბანკს.
- **შესაბამისობის რისკი** - წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი არ/ვერ იმოქმედებს მოქმედი რეგულაციების, კანონების და ხელშეკრულებების შესაბამისად და ამის შედეგად შესაძლოა მიიღოს ფინანსური ზარალი.
- **მაკროეკონომიკური რისკი** - წარმოადგენს რისკს, რომ ქვეყნის, რეგიონის ან გლობალურ დონეზე განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა (მაგალითად, მერყეობა ნედლეულის ბაზრებზე, უმუშევრობის ზრდა, მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორის მშპ-ს კლება, ა.შ.) შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

ამ რისკების მართვისათვის ბანკში შემუშავებულია პოლიტიკები, პროცედურები და დანერგილია მმართველობითი სტრუქტურა მათი აღსრულებისათვის.

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის ჩარჩოზე, ძირითადი რისკების მეთვალყურეობაზე, რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებზე. სამეთვალყურეო საბჭო იყენებს შიდა აუდიტის პროცესს რისკების მართვის ჩარჩოს და შესაბამისი პოლიტიკების და პროცედურების შესრულების ზედამხედველობისათვის. სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს, რომ რისკების მიტიგაციის პროცედურები შესაბამისობაში იყოს ბანკის სტრატეგიასთან მიკრო,

მცირე და საშუალო, რითეილ სეგემენტებზე ფოკუსირებასთან. სამეთვალყურეო საბჭო მონიტორინგს უწევს რისკების მართვის პროცესს და რისკების პოლიტიკების და პროცედურების მოქმედებას რეგულარული შეხვედრების და რეპორტინგის გზით, სადაც ხდება სხვადასხვა რისკ მაჩვენებლების წარდგენა.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია საერთო რისკების კულტურის დანერგვაზე მთელი ბანკის მასშტაბით, რისკის მიტიგაციის ღონისძიებების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი მოქმედებს დადგენილი რისკების პარამეტრების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს, ან მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ამტკიცებს რისკების მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკებს და პროცედურებს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების სტრატეგიის ბანკის საერთო სტრატეგიასთან შესაბამისობის მოყვანაში. დირექტორთა საბჭო მეთვალყურეობას უწევს რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს სხვადასხვა რეპორტების და კომიტეტების მეშვეობით, სადაც ხდება მიღწეული მაჩვენებლების და რისკებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

რისკების დირექტორი პასუხისმგებელია რისკების მართვის და შესაბამისობის საერთო მართვაზე, უზრუნველყოფს როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური რისკების იდენტიფიცირების, გაზომვის, მართვის და ანგარიშგების საერთო მეთოდების შემუშავებას და დანერგვას. ის ექვემდებარება პირდაპირ გენერალურ დირექტორს და არაპირდაპირ- დირექტორთა საბჭოს.

რისკების დირექტორატის გარდა, ბანკის რამდენიმე სხვა განყოფილება ახორციელებს რისკების მართვას მათი საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილი სქემა ასახავს რისკების მართვის სტრუქტურას ბანკის მასშტაბით



რისკების მართვის კომიტეტები

ბანკში შექმნილი პოლიტიკების და პროცედურების განხორციელებისათვის, დირექტორთა საბჭოს მიერ შექმნილია შემდეგი კომიტეტები:

საკრედიტო კომიტეტი ჩართულია ბანკის საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო, კორპორატიული, პირადი საბანკო მომსახურების კლიენტების საკრედიტო ლიმიტების ზედამხედველობაში, მართვასა და დამტკიცებაში. საკრედიტო კომიტეტი შედგება რისკებისა და ბიზნესის შესაბამისი წარმომადგენლებისაგან. სასესხო განაცხადის ინიცირება ხდება ფილიალის/გაყიდვების დონეზე და შემდეგ დასამტკიცებლად გადაეგზავნება შესაბამის საკრედიტო კომიტეტს დასამტკიცებლად. ბანკის მიერ შექმნილია საკრედიტო კომიტეტების რამდენიმე დონე, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური მსესხებლებისთვის საკრედიტო ლიმიტის დამტკიცებაზე.

ყველა ბიზნეს სესხი მტკიცდება შესაბამისი დონის საკრედიტო კომიტეტზე, თანხის შესაბამისად, მას შემდეგ რაც მოხდება სასესხო განაცხადების ანალიზი. დამტკიცების ლიმიტები მერყეობს ინდივიდუალური რისკ მენეჯერის დონიდან კომიტეტამდე, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და ესწრებიან მენეჯმენტის წარმომადგენლები.

საცალო სესხებისათვის, მხოლოდ ის სესხები, რომელთა თანხა ნაკლებია 10,000 ლარზე და აკმაყოფილებენ საკრედიტო რისკების და პორტფელური ანალიზის განყოფილების მიერ წინასწარ დადგენილ პირობებს, მტკიცდება ფილიალების დონეზე. ყველა სხვა განაცხადი იგზავნება შესაბამის საკრედიტო კომიტეტზე.

ზოგიერთ შემთხვევაში სესხი/საკრედიტო ლიმიტი უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოზე- თუ მსესხებელი არის დაკავშირებული პირი (ინსაიდერი) ან სესხის/საკრედიტო ლიმიტის პირობები განსხვავდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორთა საბჭოსათვის დელეგირებული პირობებისაგან.

დამტკიცების ლიმიტების გადახედვა ხდება წელიწადში ერთხელ და ხდება მათი ცვლილება, თუ ეს საჭიროა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ახალი რეგულაციების შესაბამისად ბანკის მიერ მოხდა სესხის დამტკიცების პროცედურების მნიშვნელოვანი ცვლილება მათი ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

აქტივებისა და პასივების კომიტეტი ჩართულია საბაზრო რისკის, ლიკვიდობის რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვასა და ზედამხედველობაში. აქტივებისა და პასივების კომიტეტი აწესებს და ზედამხედველობას უწევს შიდა და გარე ლიკვიდობის მაჩვენებლებს, გეგმავს საპროგნოზო ფულად ნაკადებს, აწესებს ლიმიტებს საპროცენტო რისკების, სავალუტო რისკების, საბაზრო რისკების მართვისათვის. აქტივებისა და პასივების კომიტეტი შედგება ხაზინის, ფინანსური რისკებისა და ანგარიშგების განყოფილების თანამშრომლებისაგან, ბანკის ბიზნეს მიმართულებების უფროსებისაგან და ბანკის უმაღლესი მენეჯმენტისაგან. აქტივებისა და პასივების კომიტეტის შეხვედრები რეგულარულად იმართება.

საოპერაციო რისკების კომიტეტი ჩართულია საოპერაციო რისკების მართვასა და ზედამხედველობაში. ის აწესებს ჩარჩოს საოპერაციო რისკების მართვისათვის, აწესებს კონტროლის მექანიზმებს უფლებების ეფექტური განაწილებისათვის, დაშვების, ავტორიზაციის, გადამოწმების პროცედურებს, თანამშრომელთა სწავლების და შეფასების პროცედურებს, შიდა აუდიტის გამოყენების წესებს. საოპერაციო რისკების კომიტეტი შედგება საოპერაციო რისკების განყოფილების თანამშრომლებისაგან და დირექტორთა საბჭოს წევრებისაგან.

ამ კომიტეტების დამატებით, დირექტორთა საბჭო ატარებს შეხვედრებს რისკებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე, სადაც ხდება საკითხების განხილვა საერთო, პროდუქტის ან ცალკეული ბიზნეს სეგმენტის დონეზე.

2020 წლიდან ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთან შეიქმნა რისკების კომიტეტი, რომლის წევრთა უმრავლესობას წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები. კომიტეტი იკრიბება კვარტალში ერთხელ და განიხილავს რისკების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იგი ზედამხედველობას უწევს რისკების მართვის პროცესს ბანკის მასშტაბით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოსთვის რისკების სტრატეგიების, მიტიგაციის, პოლიტიკის და პროცედურების თაობაზე.

რისკების მიტიგაციის სტრუქტურა

ბანკის მიერ შექმნილია სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკების პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობას და მათ დანერგვას. ეს ერთეულებია: საკრედიტო რისკების და პორტფელური ანალიზის განყოფილება, საოპერაციო რისკების განყოფილება, კონტროლინგის განყოფილება, პრობლემური აქტივების მართვის განყოფილება, ხაზინის განყოფილება, ფინანსური რისკებისა და ანგარიშგების განყოფილება, იურიდიული და შესაბამობის განყოფილება, ფინანსური მონიტორინგის განყოფილება. იურიდიული და შესაბამობის განყოფილება და ფინანსური მონიტორინგის განყოფილება ექვემდებარებიან გენერალურ დირექტორს, საკრედიტო რისკების და პორტფელური ანალიზის განყოფილება, საოპერაციო რისკების განყოფილება, კონტროლინგის განყოფილება, პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებაექვემდებარებიან რისკების დირექტორს, ხაზინის განყოფილება და ფინანსური რისკებისა და ანგარიშგების განყოფილება ექვემდებარებიან ფინანსურ დირექტორს. თითოეული ეს ერთეული ფოკუსირებულია მისი საქმიანობისათვის სპეციფიური რისკების მიტიგაციაზე

- იურიდიული და შესაბამისობის განყოფილება ჩართულია ბანკის სამართლებრივი რისკის მიტიგაციის პროცესში. როგორც სამართლებრივ პროცესებში მონაწილეობის მხრივ, ასევე შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავების პროცესში, რათა ბანკი იყოს შესაბამისობაში, ყველა სამართლებრივ და საზედამხედველო რეგულაციასთან მიმართებით.
- ფინანსური მონიტორინგის განყოფილება ჩართულია კლიენტებისა და მათი ტრანზაქციების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით არსებული რისკების მიტიგაციის პროცესებში. აგრეთვე, უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას საზედამხედველო მოთხოვნებსა და საერთაშორისო ნორმებთან დაკავშირებით.
- ხაზინის განყოფილება მართავს ბანკის ღია სავალუტო პოზიციას, ლიკვიდობის, საბაზრო და საპროცენტო რისკებს. თითოეულის მიტიგაციისთვის იყენებს შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ლიმიტებს.
- საკრედიტო რისკებისა და პორტფელის ანალიზის განყოფილება აკონტროლებს და ახდენს კრედიტებთან დაკავშირებული რისკების მიტიგაციას, სხვა და სხვა არაფინანსურ ელემენტებთან, ეხმარება მენეჯმენტს კრედიტებთან დაკავშირებული უწყისების მომზადებითა და პორთფელის ანალიზის მიმართულებით.
- საოპერაციო რისკების განყოფილება ყოველდღიურად აკვირდება ოპერაციებთან დაკავშირებულ რისკებს, ახდენს ბანკში საოპერაციო რისკების კომიტეტისა და შესაბამისი პოლიტიკების მიხედვით დადგენილი წესებისა და პროცედურების დანერგვას.
- კონტროლინგის განყოფილება აკონტროლებს ბანკის შესაბამისობას საკრედიტო რისკების პოლიტიკებსა და პროცედურებთან. გამოთქვამს დამოუკიდებელ მოსაზრებას, მენეჯმენტის, საკრედიტო კომიტეტისა და საკრედიტო რისკებისა და პორტფელის ანალიზის

განყოფილების მიერ შემუშავებული რისკების მიტიგაციის ფაქტორებთან დაკავშირებით.

- პრობლემური აქტივების მართვის განყოფილება მართავს ბანკის მაღალ რისკიან აქტივებს და უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების მიტიგაციას აქტივების აქტიურად მართვით. უზრუნველყოფს სამომხმარებლო სეგმენტში ბანკის შესაბაბისობას საკრედიტო და სხვა პოლიტიკებთან, ასევე, შესაბამის სამართლებრივ ნორმებთან.

საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკების მიტიგაციისათვის ბანკის მიერ დანერგილია პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც ფოკუსირებულია ცალკეული რისკებზე:

- ბანკს აქვს შემოღებული ლიმიტები რომლებიც მართავენ რისკებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე (მაქსიმალური ლიმიტები ერთ მსესხებელზე და ერთ დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე), სექტორულ დონეზე (ცალკეული სექტორებისათვის დაწესებულია მაქსიმალური ლიმიტები, ეს ლიმიტები დაკავშირებულია ბანკის კაპიტალთან და პორტფელის მოცულობასთან), პროდუქტის დონეზე (ცალკეული პროდუქტებზე დაწესებულია მაქსიმალური ლიმიტები ლარებში). აღნიშნული ლიმიტები დაწესებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ, საკრედიტო რისკებისა და პორტფელური ანალიზის დეპარტამენტი ახორციელებს მათ მონიტორინგს. აღნიშნული ლიმიტები არის დამატებითი რეგულატორულ ლიმიტებზე, რომლებთან შესაბამისობაც აუცილებელია. ლიმიტების გადახედვა ხდება პერიოდულად, მაგრამ მინიმუმ წელიწადში ერთხელ.
- საკრედიტო რისკების მიტიგაციისათვის ბანკი იყენებს უზრუნველყოფას. უზრუნველყოფის შეფასების, გაფორმების და მონიტორინგისათვის შექმნილია შესაბამისი პროცედურები და პოლიტიკები. ბანკისათვის მისაღებია შემდეგი ტიპის უზრუნველყოფები: საცხოვრებელი უძრავი ქონება, კომერციული უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთები, მანქანები და მოწყობილობები, ავტომობილები, კორპორატიული და პირადი თავდებობები, გარანტიები ფინანური ინსტიტუტებიდან, დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები, ძვირფასი ლითონები. უზრუნველყოფის თითოეული ტიპისათვის დაწესებულია სპეციფიური დისკონტის განაკვეთი, შეფასების სპეციფიკაციები, მონიტორინგის პროცედურები. როგორც წესი, შეფასება ხორციელდება ბანკის პროფესიონალი შიდა შემფასებლების მიერ, თუმცა შესაძლებელია ცალკეული აღიარებული გარე კომპანიების გამოყენება.
- უზრუნველყოფების გადაფასება ხდება პერიოდულად, მათი ტიპის და სესხის სტატუსის შესაბამისად, უფრო მაღალი რისკის მქონე სესხებისათვის გადაფასება ხდება უფრო ხშირად. გადაფასების პროცესი წარიმართება საკრედიტო რისკების და პორტფელური ანალიზის განყოფილების სპეციალიზირებული ჯგუფის მიერ.
- ბანკის მიერ ამჟამად არ გამოიყენება შიდა საკრედიტო მოდელები. კრედიტ ინფო საქართველოს საკრედიტო რეიტინგები გამოიყენება სესხის დამტკიცების პროცესში, ძირითადად საცალო სესხების კუთხით. საერთაშორისო საკრედიტო სააგენტოების (Fitch, Moody’s და Standard and Poors) საკრედიტო ხარისხის შეფასება გამოიყენება ბანკების პირობითი და უპირობო მოთხოვნების საკრედიტო რისკების განსაზღვრისას.
- რისკების მიტიგაციის ფარგლებში და რეგულატორული მოთხოვნების შესაბამისად, ბანკი ატარებს სტრეს-ტესტებს თავის აქტივებზე (საკრედიტო ლიმიტები, ღია სავალუტო პოზიცია, აქტივების გაუფასურება, ა.შ.) სებ-ის მიერ მოწოდებული სცენარების შესაბამისად. სტრეს-ტესტების შედეგების განხილვა ხდება დირექტორთა საბჭოს მიერ.
- 01-01-2018-დან ბანკმა შეიმუშავა სესხების რეზერვირების ახალი პოლიტიკა, რომელიც პასუხობს ფასს 9-ის მოთხოვნებს. ახალი მოდელი შექმნა განხორციელდა გარე კონსულტანტების დახმარებით (KPMG). ახალი მოდელი წინა მოდელთან შედარებით უფრო დახვეწილია. ბანკის ახდენს Expected Credit Loss-ის გამოთვლას შემდეგი კომპონენტების გამოყენებით: Probability of

Default, Exposure at Default, Loss Given Default. ახალი მოდელი ასევე საშუალებას იძლევა რომ Expected Credit Loss-ის გამოთვლისას მოხდეს მაკროეკონომიკური სცენარების გამოყენება.

- რისკების რეპორტნგი ხდება საკრედიტო რისკების და პორტფელური ანალიზის განყოფილების შესაბამისი ერთეულის მიერ. ეს მოიცავს პერიოდულ რეპორტინგს სამეთვალყურეო საბჭოსთან და დირექტორთა საბჭოსთან, სადაც ხდება სხვადასხვა რისკების მაჩვენებლების პრეზენტაცია და განხილვა, ასევე დამატებითი რეპორტინგი რისკებთან დაკავშირებულ საკითხებზე. რისკ რეპორტინგის პროცესი ხდება ბანკის სხვა განყოფილებებთან თანამშრომლობით.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. აქ იგულისხმება ფულის იმ საჭირო ოდენობის არსებობა, რომელიც დააკმაყოფილებს დეპოზიტების თანხების გატანას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებს მათი ვადის დადგომის შემთხვევაში. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური დაწესებულებების მართვისთვის.

ლიკვიდობის რისკის სამართავად, ბანკი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის შემადგენელ ნაწილს. მმართველობითი საბჭო აწესებს ლიმიტს დასაფარი თანხის მინიმალურ ნაწილზე ანაბრებიდან თანხის გატანის შემთხვევაში, ასევე ბანკთაშორისი და სასესხო საშუალებების იმ მინიმალურ ნაწილზე, რომელიც უნდა ეყოს თანხაზე მოთხოვნას როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ ვითარებაში. ისინი ასევე ადგენენ პარამეტრებს ვალდებულებების ბაზის რისკის დივერსიფიკაციისათვის.

ბანკის ლიკვიდობის მართვა მოიცავს შემდეგს:

- ფულადი ნაკადების პროგნოზირება და ლიკვიდური აქტივების საკმარისი დონის შენარჩუნება დროის სხვადასხვა მონაკვეთში ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად;
- ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისი დაფინანსების გეგმის შენარჩუნება;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას და ამით როგორც ქვეყნის შიდა, ისე უცხოური წყაროებიდან ბანკის მიერ სესხების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესება;
- მაღალი ლიკვიდურობისა და მაღალი ხარისხის აქტივების შენარჩუნება;
- პროდუქტების ბაზის ცვლილება დროის შუალედში დაფინანსების არსებული წყაროების შესაბამისად;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების ყოველდღიური მონიტორინგი მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; და
- დროის ნებისმიერ შუალედში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის მუდმივი მონიტორინგი.

ბანკის სახაზინო ფუნქციები მოიცავს შემდეგ პასუხისმგებლობებს:

- სებ-ის ლიკვიდურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე შესაბამისობა ლიკვიდურობის მოთხოვნების იმ მუხლებთან, რომლებიც შედის უცხოურ კრედიტორებთან დადებულხელ შეკრულებებში;
- ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველდღიური ანგარიში, მათ შორის ხელმძღვანელობის ინფორმირება ძირითადი ვალუტების (ლარი, აშშ დოლარი, ევრო) ლიკვიდურობის დონის, ნაღდი ფულის პოზიციის შესახებ;
- ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველკვირეული ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზის შესახებ ძირითად ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);

- ლიკვიდური აქტივების დონის მუდმივი კონტროლი/მონიტორინგი;
- დეპოზიტებისა და სხვა ვალდებულებების კონცენტრაციის მონიტორინგი; და
- სტრესულ ვითარებაში ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით ფულადი სახსრების სწრაფად გაზრდის გეგმის არსებობა.

ბანკი აფასებს და ზედამხედველობას უწევს ლიკვიდურობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია სებ-ს მიერ. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სახაზინო განყოფილების მიერ ბანკი ლიკვიდურობის პოზიციის ჯეროვნად მართვა. ლიკვიდურობის პოზიციასთან და მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი

საზედამხედველო კაპიტალი

კაპიტალის ადეკვატურობა არის ერთერთი მთავარი მაჩვენებელი ბანკის სტაბილურობის განსაზღვრისთვის. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტზე ბანკი მუდმივად განიხილავს კაპიტალის მოთხოვნას ფაქტიურ მონაცემებთან შესაბამისობას. კაპიტალის მართვის ეფექტურობის გასაზრდელად ფინანსურ განყოფილება შემუშავებული აქვს პროგნოზირების მოდელი, რისი მეშვეობითაც ხდება საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრა სხვადასხვა პარამეტრების ცვლილების გათვალისწინებით.

საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნა დგება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დებულების“ შესაბამისად - მინიმალური მოთხოვნებისა და პილარ2 -ის ჯამური ბუფერების გათვალისწინებით.
2019 წლის მდგომარეობით კაპიტალის მოთხოვნა როგორც პირველად ასევე ჯამურ საზედამხედველო კაპიტალზე არის შემდეგი:

მინიმალური მოთხოვნები		კოეფიციენტი	თანხა (ლარი)
1	პილარ 1-ის მოთხოვნები		
1.1	ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	4.50%	40,441,164
1.2	პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	6.00%	53,921,552
1.3	საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	8.00%	71,895,402
2	კომბინირებული ბუფერი		
2.1	კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	2.50%	22,467,313
2.2	კონტრციკლური ბუფერი	0.00%	-
2.3	სისტემური რისკის ბუფერი	0.00%	-
3	პილარ 2-ის მოთხოვნა*		
3.1	პილარ 2-ის მოთხოვნა ძირითად პირველად კაპიტალზე	2.26%	20,301,035
3.2	პილარ 2-ის მოთხოვნა პირველად კაპიტალზე	3.02%	27,159,221
3.3	პილარ 2-ის საზედამხედველო კაპიტალზე	6.74%	60,577,438
ჯამური მოთხოვნები		კოეფიციენტი	თანხა (ლარი)
4	ძირითადი პირველადი კაპიტალი	9.26%	83,209,512
5	პირველადი კაპიტალი	11.52%	103,548,085
6	საზედამხედველო კაპიტალი	17.24%	154,940,153

რაც შეეხება ფაქტიურ მაჩვენებლებს ბანკი მუდმივად იცავს მინიმალურ მოთხოვნებს:

		12/31/2019	9/30/2019	6/30/2019	3/31/2019	12/31/2018
	საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)					
	ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
1	ძირითადი პირველადი კაპიტალი	116,131,510	116,068,649	108,722,462	110,978,441	104,601,555
2	პირველადი კაპიტალი	116,131,510	116,068,649	108,722,462	110,978,441	104,601,555
3	საზედამხედველო კაპიტალი	172,988,561	177,356,901	167,351,193	164,715,333	156,412,414
	რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (მოცულობა, ლარი)					
4	რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	898,692,526	940,885,173	932,602,568	889,510,859	872,383,343
	კაპიტალის კოეფიციენტები					
	ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
5	ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი >=9.26%	12.92%	12.34%	11.66%	12.48%	11.99%
6	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი >=11.52%	12.92%	12.34%	11.66%	12.48%	11.99%
7	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი >=17.24%	19.25%	18.85%	17.94%	18.52%	17.93%

ანაზღაურების პოლიტიკა

ანაზღაურების სისტემა მოიცავს საქმიანობის შესაბამისად ანაზღაურების გარკვეულ ფორმებს, მათ შორის, ფიქსირებული ანაზღაურება, ცვალებადი ანაზღაურება (ბონუსი) და დამატებითი სარგებელი (მათ შორის და არა მხოლოდ: მოქმედი კანონმდებლობით/შიდა რეგულაციებით განსაზღვრული დანამატები, საპენსიო შენატანი, მივლინების, პროფესიული განვითარების, ჯანმრთელობის დაზღვევის, მატერიალური წახალისების სხვა ფორმები და სხვა სახის სარგებელი).

ბანკში თანამშრომლის ფიქსირებული ანაზღაურება შეადგენს ანაზღაურების ძირითად ნაწილს და შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან, ამ პოზიციისთვის მოთხოვნილ კვალიფიკაციასთან და კომპეტენციებთან და ფინანსურ ინსტიტუტებში შესაბამის/თანაბარ პოზიციებზე არსებულ ანაზღაურებასთან.

ბაზარზე სახელფასე განაკვეთების კვლევის, ინფლაციის, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის და თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს წლიური შეფასების გათვალისწინებით შესაძლებელია მოხდეს თანამშრომლის ფიქსირებული ანაზღაურების ოდენობის გადახედვა წელიწადში ერთხელ, თუ ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ცვალებადი ანაზღაურება (ბონუსი) არის თანამშრომლის დამატებითი სარგებელი, რომლის ოდენობა განისაზღვრება საქმიანობის ცალკეული მიმართულების მიხედვით ბანკის ფინანსური მაჩვენებლების და თანამშრომლის მიერ მიღწეული შედეგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების შეფასების საფუძველზე.

ფიქსირებული ანაზღაურების ცვლილება და ასევე ცვალებადი ანაზღაურების გაცემა ხდება წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში.

თანამშრომელთა ანაზღაურების წლიურ სახელფასო ბიუჯეტს კურატორ დირექტორებთან შეთანხმებით გენერალურ დირექტორთან წარადგენს ადამიანური რესურსების მართვის და პროცესების ადმინისტრირების განყოფილება. აღნიშნული ბიუჯეტი მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ცვალებადი ანაზღაურების ბიუჯეტს, ბანკის გენერალური დირექტორი წარადგენს სამეთვალყურეო საბჭოსთან. აღნიშნული ბიუჯეტი მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც ნაწილდება სეგმენტების შედეგების მიხედვით.

იმ თანამშრომლებზე, რომელთა ბონუსი არ არის დამოკიდებული ბანკის მიერ შემოსავლის მიღებაზე, ცვალებადი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა ხდება თანამშრომლების ინდივიდუალურ შეფასებაზე ან/და შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით.

იმ თანამშრომლებზე, რომელთა ბონუსი დამოკიდებულია ბანკის მიერ შემოსავლის მიღებაზე, ბონუსის მიცემა ხდება წინასწარ განსაზღვრული გეგმის რაოდენობრივი (შემოსავლის ოდენობა ან პროდუქტიულობა) და ხარისხობრივი (სტრატეგიული მოქმედებები, კლიენტის მომსახურების ხარისხი, გადაწყვეტილებები ან პროექტები და მენეჯერული უნარები) მაჩვენებლების საფუძველზე (საკრედიტო ნაწილში, დამატებით, პორთფელის მაღალი ხარისხის შენარჩუნების მხედველობაში მიღებით).

ბანკს, თანამშრომლის პოზიციისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით ბანკის რისკის პროფილზე გავლენის გათვალისწინებით, ასევე აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებაში მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი როლის გათვალისწინებით იდენტიფიცირებული აქვს იმ თანამშრომლების ჯგუფი, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბანკის რისკის პროფილზე (შემდგომში მატერიალური რისკის ამღები პირები).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მატერიალური რისკის ამღებ პირად განიხილებიან ბანკის დირექტორები და დირექტორატთან არსებული საკრედიტო კომიტეტის წევრები.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება შეესაბამება მათ ჩართულობას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, გაწეულ ძალისხმევასა და დროის რესურსს.
სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება მოიცავს მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას, რომლის ოდენობა განისაზღვრება აქციონერთა საერთო კრების მიერ.